

(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი



პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის
განსაზღვრის მეთოდოლოგია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 12; 06 .02 . 2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

/ირმა შიოშვილი/

ქ. თელავი
2018

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმს, მეთოდოლოგიას და სამიზნე ნიშნულებს, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობას.

მუხლი 2. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობის დადგენის ინსტრუქცია

1. უმაღლესი საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს მონაწილე პერსონალის თანაფარდობა:
აკადემიური/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
2. სავალდებულოა ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდეს შესაბამისი დარგის/მიმართულების/პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების მინიმუმ ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი / ასოცირებული პროფესორი).
3. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირების თანაფარდობა ნაწილდება შემდეგნაირად:
 - ა) შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების მინიმუმ ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი).
 - ბ) შესაბამისი დარგის/მიმართულების/ პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების პროგრამაში ჩართული პერსონალის მინიმუმ 20% აკადემიური პერსონალი.
 - გ) მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის საჭიროებიდან/სპეციფიკიდან გამომდინარე.
4. ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობის მიხედვით დამხმარე პერსონალის თანაფარდობა შემდეგია:
 - ა) ფაკულტეტზე ორას სტუდენტამდე მინიმუმ 1 დამხმარე პერსონალი (დეკანის თნაშემწე) ; (საშუალოდ 1 სტუდენტის მომსახურებას ჭირდება 10 -12 წთ, კვირაში 40 სთ-

იან სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, შეუძლია მოემსახუროს 60 წთ/12 წთ x 40 სთ=200 სტუდენტი).

ბ) დეპარტამენტში პროგრამებს ემსახურება მინიმუმ ერთი სპეციალისტი/ლაბორანტი.

5. უმაღლესი საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს მისაღები კონტიგენტის რაოდენობა.

6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების:

ა) ბიოლოგიის, მათემატიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე: 15 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

ბ) გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამაზე: 25 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი.

7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების:

ა) ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამებზე: 25 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

ბ) ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო, ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მთარგმნელობითი საქმის სამაგისტრო პროგრამაზე 15 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

8. სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების:

სამართლის, ეკონომიკის, საჯარო მმართველობის, ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებზე: 25 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი.

9. აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების:

აგრონომიის, სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა) სამაგისტრო პროგრამებზე: 15 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

10. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/მიმართულების /პროგრამის შედეგების გათვალისწინებით აუცილებელი დარგის/მიმართულების:

ა) დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე: 25 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი;

ბ) საგნის სწავლების მეთოდის (ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, გერმანული ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა) სამაგისტრო პროგრამაზე: 15 სტუდენტზე მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალი.

11. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრება ერთ პროგრამაზე, ჯამში მაქსიმუმ 10 სტუდენტი. პერსონალის თანაფარდობა ნაწილდება შემდეგნაირად: 3 დოქტორანტზე მინიმუმ 1 აკადემიური პერსონალი (ამათგან მინიმუმ ერთი აფილირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი).

12. უმაღლესი საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რიცხვის ზრდასთან ერთად აუცილებელია ზემოთ განსაზღვრული თანაფარდობის მიხედვით პერსონალის ზრდა. ზემოთ დადგენილი თანაფარდობის ცდომილება დასაშვებია 20% -ით.

13. ადმინისტრაციული პერსონალის მინიმალური რაოდენობა დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. ადმინისტრაციული პერსონალის ზრდა დამოკიდებულია სტუდენტთა სიმრავლეზე/საქმიანობის დიფერენციაზე. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული პერსონალის ზრდასთან დაკავშირებით მიიღება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების თანახმად.

14. ახალი პროგრამების დამატებისთვის აუცილებელია შესაბამისი გათვლებით მოხდეს პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრა მისაღებ კონტინგენტთან მიმართებაში.

მუხლი 3. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ადგენს უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს:

ა) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/ბაზებს (უძრავი და მოძრავი ქონება);

ბ) ადამიანურ რესურსს (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, დამხმარე პერსონალს და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირებს; პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური/ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის რაოდენობების თანაფარდობების გათვალისწინებით.)

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;

დ) შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას;

2. პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან, დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე :

ა) სტუდენტი იღებს ხარისხიან განათლებას;

ბ) სტუდენტს აქვს საშუალება შეუფერხებელი კომუნიკაცია დაამყაროს უნივერსიტეტის პერსონალთან და მიიღოს სტუდენტისთვის საჭირო ხარისხიანი მომსახურება;

გ) სალექციო /სასემინარო/ პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ სასესიო/ შემოქმედებითი/ გართობის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად კომფორტულ გარემოში, არ იკვეთება ცხრილები. პერსონალს აქვს საშუალება სტუდენტს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება მისი კომპეტენციის ფარგლებში;

დ) ფორსმაჟორულ სიტუაციაში უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხო ევაკუაციას შესაბამისი საევაკუაციო სამოქმედო გეგმით.

ე) სტუდენტთა სერვისებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია სასადილო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ღია მოედანი, შემოქმედებითი წრეები, სპორტული წრეები, აუდიტორიები, დამხმარე ფართები და სხვა.

3. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- A_{time} - აუდიტორიაში მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა (ლექცია/სემინარი/ პრაქტიკული) ანუ აუდიტორიების (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული) გამტარობა ერთი კვირის განმავლობაში
 - Q_a - აუდიტორიების რაოდენობა
 - D_t - აუდიტორიის დღიური საათობრივი დატვირთვა
 - W_t - აუდიტორიის კვირეული დატვირთვა
 - Ag - აუდიტორიებში ჯგუფების რაოდენობა;
 - G - ჯგუფების რაოდენობა;
 - T_w - **ჯგუფის** კვირეულ პრაქტიკულ/ სასემინარო/სალექციო დატვირთვა
- აუდიტორიების (ლექცია/ სემინარი/პრაქტიკული) რაოდენობა მრავლდება დღიურ საათობრივ და კვირეულ დატვირთვაზე, რაც იძლევა აუდიტორიების (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული) გამტარობას საათებში ერთი კვირის განმავლობაში.

აუდიტორიების (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული) გამტარობა ერთი კვირის განმავლობაში :

$$A_{time} = Q_a \times D_t \times W_t$$

$$\text{მაგალითად, } A_{time} = 10 \times 10 \times 6 = 600$$

- მიღებული მონაცემი იყოფა ჯგუფის კვირეულ ლექცია/ პრაქტიკულ/ სასემინარო დატვირთვაზე, (მაგ. : რომელიც საშუალოდ შეადგენს 12 სთ.) და გვაძლევს გამტარობას ჯგუფების რაოდენობის მიხედვით.

გამტარობა ჯგუფების რაოდენობის მიხედვით = აუდიტორიების (სემინარი/პრაქტიკული/ლექცია) გამტარობა ერთი კვირის განმავლობაში (გამოსახული სთ-ში) გაყოფილი კვირულ პრაქტიკულ/სასემინარო/სალექციო დატვირთვაზე

$$Ag = A_{time} / T_w$$

მაგალითად, 600/12=50 ჯგუფი

- მიღებული ჯგუფების რაოდენობა მრავლდება ჯგუფში (ლექცია/ სემინარი/პრაქტიკული) სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობაზე. (აუდიტორიის ფართობის გათვალისწინებით) და შემდგომ ჯამდება

$$SQ = \sum (Ag_{st} \times Q_{stud})$$

მაგ. : **Student qvota** = $Ag_{15} \times Q_{15} + Ag_{25} \times Q_{25}$

მითითება: შესაძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება განსაზღვრული იყოს პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი.

ყოველწლიურად პროგრამების მიხედვით მისაღები კონტიგენტით განსაზღვრულზე ნაკლები რაოდენობით სტუდენტის მიღების შემთხვევაში, კვოტის დარჩენილი ნაწილი დაემატება შემდეგი წლის ქვოტას.

4. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის დროს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის/შენობა ნაგებობების რაციონალურად გამოყენების პრინციპით.
5. სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი პარამეტრები:
 - ა) ყველა სასწავლო აუდიტორიას უნდა ჰქონდეს ფანჯარა .
 - ბ) 1 სტუდენტზე მინიმუმ 3 კვ.მ სასწავლო ფართი და შესაბამისი ინვენტარი: ერთ სტუდენტზე მინიმუმ ერთი სკამი და მერხი, ერთ აუდიტორიაში მინიმუმ ერთი დაფა, საჭიროების შემთხვევაში პროექტორი და კომპიუტერი.
 - გ) უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი უზრუნველყოფილი უნდა იქნას მუდმივი ელექტრო მომარაგებით, გათბობის სისტემით, ინტერნეტით, წყალმომარაგებითა და სანიტარული კვანძებით.
 - დ) მინიმუმ 12 სტუდენტზე ინტერნეტში მუდმივად ჩართული 1 კომპიუტერი.

მუხლი 4. პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოთვლის მეთოდოლოგია:

პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საშუალო დატვირთვა შეადგენს კვირაში 6-8-10-2 სთ. პროგრამის კრედიტებიდან გამომდინარე (მაგ.:ბაკალავრიატში 240

კრედიტი) იყოფა საშუალოდ თითოეული საგნის კრედიტზე და უდრის საგნების რაოდენობას ანუ $240/5=48$. თითოეულ საგანში სააუდიტორიო დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 26 სთ, ხოლო საშუალოდ თითოეული ლექტორის საათობრივი დატვირთვა წარმოადგენს კვირაში 7 სთ ($(6+8+10+2)/4=7$ სთ). პროგრამის მთლიანი საათები შეადგენს საგნების რაოდენობის ნამრავლს თითოეული საგნის სააუდიტორიო დატვირთვაზე ანუ $48 \times 26=1248$ სთ. ეს გაყოფილი კვირების და ლექტორის საშუალო საათობრივ დატვირთვაზე :

$$1248/13/7=13.7 \approx 14$$

$$\text{ანუ } Q_p = 240/5 \times 26/13/7 = 13.71 \approx 14$$

$$(Q_p = P_{\text{ects}}/C_{\text{ects}} \times L_t / W / L_{\text{tw}})$$

3. ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის გამოთვლის მეთოდოლოგია

ნიშნულები:

- ✓ სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული დამოუკიდებელი მუშაობის საათები საშუალოდ, მაგ. კვირაში 6 სთ.
- ✓ სემესტრში სასწავლო კურსების რაოდენობა საშუალოდ, მაგ. 6. (ბაკალავრიატში=30 კრედიტი), 5 (მაგისტრატურაში =30 კრედიტი), 3 (დოქტორანტურაში 30 კრედიტი)
- ✓ ბიბლიოთეკის მუშაობის საათები, მაგ. – 10 სთ., კვირაში - 60 სთ.

ამ ნიშნულებიდან გამომდინარე, თითოეული სასწავლო კურსის ბეჭდური წიგნის ძირითადი ლიტერატურის გამოყენების დასადგენად: მაქსიმალური საათების რაოდენობა დღეში (10 სთ ბიბლიოთეკის სამუშაო დრო) გამრავლებული კვირის სამუშაო დღეებზე (6 დღე) და გაყოფილი ერთი სტუდენტის მიერ ერთ წიგნზე კვირაში გამოყენებული საათების რაოდენობაზე (მაგ. დღეში მინიმუმ 2 სთ.) . მიღებული რიცხვი იქნება თითო სახელმძღვანელოთი მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა.

მაგ: $60/2 = 30$ ანუ ერთი წიგნი კვირის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს 30 სტუდენტმა.

მუხლი 6. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია ძალაშია დამტკიცებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი:

ირმა შიომშვილი

დანართი
ექსელის ფაილი.